უფასო

ჩემი გაზეთი

30 სექტემბერი
2019 წელი

№6 (43)

ბაღდათის მუნიციპალიტეტი, ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი

ღვინო და ხელოვნება

საერთაშორისო ფესტივალი ბაღდათში

ბაღდათის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ინიციატივით, ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ეზოში და მიმდებარე ტერიტორიაზე საერთაშორისო „ღვინის არტ ფესტივალი“ გაიმართება.

ფესტივალის დაფუძნების მიზანი ბაღდათის ტურისტული პოტენციალის განვითარება და ადგილობრივი ნაწარმის პოპულარიზაციაა. ფესტივალი ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლებას, ბაღდათში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას, კერძო სექტორის განვითარებასა და ადგილობრივ ეკონომიკურ ზრდას.

მიმდინარე და დასრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

ბაღდათის მუნიციპალიტეტში წელს 64 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. ამათგან 48 უკვე დასრულებულია. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან წელს 8 პროექტი დაფინანსდა 4 112 584 ლარით. ეს პროექტებია: ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფ. დიმში მამუკაშვილების შესახვევიდან ეკლესიამდე მისასვლელი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია; სოფ. პირველ ობჩაში მთისძირისკენ მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია; წითელხევის შემოვლითი საავტომობილო გზისა და სოფელ წითელხევში მეფარიშვილების უბნიდან თეთრ ეკლესიამდე მისასვლელი საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობა; სოფ. დიმის №2 საჯარო სკოლიდან სოფ. პირველ ობჩასთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის მოწყობა ბეტონის საფარით; სოფ.დიმის №2 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა (პროექტის ღირებულება შეადგენს 192 284 ლარს); სოფ. ფერსათისა და სოფ. შუბანის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რკ/ბეტონის საფარით მოწყობა; რევაზ ლაღიძის სახელობის ბაღდათის კულტურის ცენტრის შენობის სახურავის რეაბილიტაცია. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მთავრობის განკარგულებით, განათლების სისტემისთვის გამოიყო 410 000 ლარი. აღნიშნული თანხის ფარგლებში, 4 საჯარო სკოლის 5 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. კერძოდ, ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლაში სველი წერტილის მშენებლობა, სოფელ დიმის №1 საჯარო სკოლაში სპორტული დარბაზის რეაბილიტაცია, ფერსათის №2 საჯარო სკოლაში სახურავის აღდგენა, ფერსათის №2 საჯარო სკოლაში ცენტრალური გათბობის სისტემის მოწყობა, როკითის საჯარო სკოლაში არსებული სველი წერტილის რეაბილიტაცია.

ინფრასტრუქტურულ პროექტებში გაჩნდა დაფინანსების ახალი მიმართულებები: სტიქიის პრევენციის პროგრამა, რომელიც სტიქიის პრევენციის მიზნით წინასწარი ღონისძიებების გატარებას გულისხმობს და ჯანდაცვის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც მოიცავს სოფლის ამბულატორიების რეაბილიტაციას. სტიქიის პრევენციის პროგრამა შეამცირებს, საუკეთესო შემთხვევაში კი, აღმოფხვრის მოსალოდნელი სტიქიის უარყოფით შედეგებს. პროექტის ფარგლებში, მდინარე ხანისწყლის მარცხენა სანაპირზე მოეწყო ქვანაყარი ბერმი 101 გრძივ მეტრზე. მისი ღირებულებაა 127 777 ლარი. აღნიშნული პროგრამა მომავალ წელსაც გაგრძელდება. ჯანდაცვის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, 5 სოფლის – როხის, ვარციხის, ხანის, მეორე ობჩისა და ნერგეეთის ამბულატორიების რეაბილიტაცია მოხდება და ამისთვის 212 368 ლარია გამოყოფილი, ხოლო ხელშეკრულებები გაფორმებულია 195 228 ლარზე. სამუშაოები მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება. აღნიშნული პროექტი მომავალ წელსაც გაგრძელდება და რეაბილიტაცია ჩაუტარდება კიდევ 8 სოფლის ამბულატორიას.

მიმდინარე წელს განახლდა სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებში, მოსახლეობის მიერ შერჩეული 40 მცირე ინფრასტრუქტურული პროექტი დაფინანსდა. პროგრამის ბიუჯეტი თანადაფინანსებით განისაზღვრა 407 880 ლარით. ამ პროექტებიდან 25 ობიექტზე სამუშაოები მოსახლეობამ თავად შეასრულა (მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო საჭირო მასალების შეძენა).

ადგილობრივი ბიუჯეტით 2019 წელს განხორციელდა სოფელ წაბლარასხევში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრისკენ მიმავალი საავტომობილო გზის ბეტონის საფარით მოწყობა. ამისათვის ბიუჯეტიდან გამოიყო 63 441 ლარი. სამუშაოები უკვე დასრულებულია. ადგილობრივი ბიუჯეტიდან გასული წლების ნაშთების გამოყენებით ასევე დაფინანსდა რამდენიმე პროექტი: ქალაქ ბაღდათში სათავენაგებობასთან მდინარე ხანისწყლის სანაპიროს გასწვრივ ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები, ქალაქ ბაღდათში წერეთლის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის გასწვრივ ლითონის ცხაურიანი რკ/ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა და ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოები (7 ობიექტის რეაბილიტაცია).

წელს ასევე განახლდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თანადაფინანსების პროგრამა, რომელიც გულისხმობს ბინათმესაკუთრეთა სხვადასხვა საჭიროების დაფინანსებას მუნიციპალური ბიუჯეთიდან 90 პროცენტიანი წილით. მოსახლეობის მხრიდან ხდება 10 პროცენტიანი ფინანსური თანამონაწილეობა და მათივე დაკვეთით მზადდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. პროექტის ფარგლებში, იგეგმება კოსტავას ქუჩა №2-ში მდებარე საერთო საცხოვრებელი ბინის ფასადის მოპირკეთება, რისთვისაც ბიუჯეტიდან გამოიყო 70 391,90 ლარი.

მაღალმთიანი რეგიონების განვითარების ფონდიდან დაფინანსდა სოფელ ხანში ცენტრალური ქუჩის მოპირკეთების პროექტი, რომლის ღირებულება 469 870 ლარია. სამუშაოები დაწყებულია და წლის ბოლომდე დასრულდება.

ინფორმაციის მისაღებად „ჩემი გაზეთის“ გუნდი მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსს კახა მსხვილიძეს ესაუბრა.

ანა ძორიძე

შეხვედრა მოსახლეობასთან

3 სექტემბერს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე, ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერი არჩილ გოგსაძე და საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე ბაღდათის მუნიციპალიტეტის ოთხი სოფლის მაცხოვრებლებს შეხვდნენ. ადგილობრივებთან შეხვედრებზე რამდენიმე პრობლემა გამოიკვეთა, მათ შორის, ჯანდაცვა, საგზაო ინფრასტრუქტურა, წყლის სისტემების მოწესრიგება, დევნილებისა და ეკომიგრანტების განსახლების საკითხი. სოფელ როხში ახალგაზრდებმა საფეხბურთო სტადიონის რეაბილიტაცია და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა მოითხოვეს. ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები შეხვედრებზე დასმულ ყველა საკითხზე რეაგირებას უმოკლეს ვადებში მოახდენენ.

სამთავრობო გუნდის მოსახლეობასთან ღია დიალოგის მიზანია ცენტრალური თუ ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში მოსახლეობის სურვილებისა და მოთხოვნების მაქსიმალური გათვალისწინება. აგრეთვე არსებული პრობლემების უშუალოდ მოსახლეობისგან მოსმენა და გადაჭრის გზების ერთობლივი მოძებნა.

წიგნიერების საერთაშორისო დღე

წიგნიერება მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მიღწევაა, რომელიც პირდაპირ კავშირშია ადამიანისა და საზოგადოების განვითარებასთან. 1966 წლიდან ყოველი წლის 8 სექტემბერს აღნიშნება წიგნიერების საერთაშორისო დღე. თავდაპირველად მას „წერა-კითხვის გავრცელების დღე“ ერქვა. სიტყვა „წიგნიერება“ იუნესკომ მოგვიანებით დაურთო. როგორც ჩანს, ნათელი გახდა, რომ დედამიწაზე პროგრესის მისაღწევად მხოლოდ წერისა და კითხვის ცოდნა არ იყო საკმარისი.

ასწლეულების განმავლობაში უამრავი წიგნი შეიქმნა სხვადასხვა ენაზე. პირველი ქართული წიგნი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია, არის ჰაგიოგრაფიული ძეგლი – იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამება“ (476–483 წწ).

„შუშანიკის წამების“ შემდეგ დაიწერა უამრავი სხვა ნაწარმოები: იოანე საბანისძის „აბო თბილელის წამება“ (VII ს), გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (VIII-IX სს), გიორგი მთაწმინდელის „იოანე და ექვთიმე მთაწმინდელების ცხოვრება“ (XI ს) და სხვა მრავალი ჰაგიოგრაფიული ძეგლი.

ძველი ქართული წიგნებიდან გამოსარჩევია ლეონტი მროველის „ქართლის ცხოვრება“ (XI ს) და უცნობი ავტორის „მოქცევაი ქართლისაი“ (დაახლ. VIII ს).

ქართული მწერლობის მწვერვალად შეგვიძლია მივიჩნიოთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ (XII-XIII სს) – წიგნი, რომელზეც აღიზარდა მრავალი თაობა.

XIII-XVIIსს-ში ქართულ მწერლობაში ბევრი რამ ჩვენამდე მოღწეული არაა და ამის მრავალი მიზეზი არსებობს. ერთ-ერთი ასეთი ფაქტია თბილისისა და ქუთაისის გადაწვა რამდენჯერმე 1386 წელს თემურ-ლენგის ლაშქრობის დროს. მან თბილისის ბიბლიოთეკა თან წაიღო.

XVII ს-დან ისევ იწყება ქართული წიგნიერების აღმავლობა. სწორედ ამ პერიოდში გამოდიან ე.წ. მეფე პოეტები: კახეთის მეფე თეიმურაზ I (1606-1648წწ), მეფე არჩილი (1647-1713წწ), ქართლის მეფე თეიმურაზ II (1680-1762წწ).

წიგნიერების მიმართულებით განსაკუთრებით გამოსარჩევია ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსეს მოღვაწეობა. ვახტანგ VI დაიბადა 1675 წ. 15 სექტემბერს. ის იყო ერთ-ერთი გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწე, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება საქართველოს შესწირა და, საბოლოოდ, 1737 წლის 26 მარტს ქალაქ ასტრახანში გარდაიცვალა.

მის მოღვაწეობას აქ სრულად ვერ განვიხილავთ და მხოლოდ მის კულტურულ და მწიგნობრულ საქმიანობას შევეხებით.

ვახტანგ VI—მ XVIII ს-ის ძნელბედობის ჟამს მოახერხა და თბილისში დააარსა პირველი ქართული სტამბა. ამ სტამბის დაარსებაში მას დიდი დახმარება გაუწია წარმოშობით ქართველმა ანთიმოზ ივერიელმა, რომელმაც თავისი მოწაფე მიხაი იშტვანოვიჩი გამოგზავნა. პირველი ქართული სტამბა 1709 წელს ამოქმედდა და პირველი წიგნი, რომელიც ამ სტამბაში დაიბეჭდა, იყო სახარება. ამას მოჰყვა „ვეფხისტყაოსანი“, „დავითნი“ (1712 წელი) და სხვა მრავალი წიგნი.

XIX-XX სს-ში საქართველოში წიგნიერება კიდევ უფრო გაიზარდა. სწორედ ამ ეპოქაში ცხოვრობდნენ ისეთი ბუმბერაზი მწერლები და პოეტები, როგორებიც იყვნენ: ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, გალაქტიონ ტაბიძე, ნოდარ დუმბაძე და სხვები.

მაგრამ XXI საუკუნეში, რაც კომპიუტერი და ინტერნეტი შემოვიდა, თანდათან იკლებს წიგნის მკითხველთა მსურველი საქართველოში, რაც ძალიან ცუდია და იმედი მაქვს, რომ უახლოეს მომავალში ეს ვითარება გამოსწორდება. ამიტომ კარგი იქნება, თუ წიგნიერების საერთაშორისო დღე საქართველოში უფრო მაშტაბურად აღინიშნება და ამ საქმეში უფრო მეტად ჩავრთავთ ახალგაზრდობას.

ჯუანშერ გეგეშიძე

მარნიდან ღვინის ქარხანამდე

აჯამეთის ტყე, რომელიც დედაბუნებამ სხვა საოცრებებთან ერთად ბაღდათს უბოძა, ადრე სამეფო იყო. როცა სამეფო ხაზინა დაცარიელდა, რუსეთის საიმპერატორო ხელისუფლებამ ხაზინის შესავსებად სამეფო ადგილ-მამულების გაყიდვა დაიწყო. მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში აჯამეთის ტყის დიდი ნაწილი ქუთაისის მაშინდელ გენერალ-გუბერნატორის თავად სვიატოპოლმირსკისა და თავად გრუზენსკის მფლობელობაში გადავიდა. შემდგომში ეს ტყეები საექსპლუატაციოდ იყიდეს სომეხმა ბიზნესმენმა ანანოვმა და პრუსიის ხელმწიფის ქვეშევრდომმა ვინმე გერმანელმა (გაზეთი „შრომა“ 1881 წლის 2 დეკემბერი).

მიუხედავად იმისა, რომ ანანოვი აჯამეთის ტყიდან საკმაოდ დიდ შემოსავალსაც იღებდა, ამით არ დაკმაყოფილდა და სხვა სარფიანი საქმეების ძიება დაიწყო. ასეთ სარფიან საქმედ მან მიიჩნია ღვინით ვაჭრობა.

ანანოვების მამული 5 000 დესეტინა მუხის ტყესა და 3 000 დესეტინა სახნავ მიწას შეადგენდა. ყოველივე ეს ადრე საუფლისწულო მამულად ითვლებოდა, სანამ იგი „კერძო პირების ხელში გადავიდოდა“, – წერდა გაზეთი „შრომა“.

ანანოვმა როგორც კი დაადგინა მის განკარგულებაში მდებარე სახნავი მიწა ვენახისათვის საუკეთესოს წარმოადგენდა, ვარციხეში ზვრების გაშენება დაიწყო და ერთი პატარა მარანი ააგო. სწორედ აქედან იწყება სამრეწველო კაპიტალიზმთან დაკავშირებით მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარება ბაღდათის რაიონში. აქამდე ჩვენ არავითარი წერილობითი დოკუმენტი არ მოგვეპოვებოდა მეღვინეობის შესახებ. არადა ეს დარგი საქართველოში და კერძოდ, ბაღდათის რაიონში უმაღლეს დონეზე რომ იყო განვითარებული, ამაზე ბევრი მტკიცებულება მიანიშნებს – ნასახლარ და ნასოფლარ ადგილებში აღმოჩენილი და დღესაც არსებული მევენახეობისა და მეღვინეობისათვის საჭირო ბევრი ატრიბუტი: ქვის საწნახელი, ქვის წნეხი, ქვის როდინი, ქვისა და თიხის ღვინის ჭურჭელი, სხვადასხვა ზომის ქვევრები, ღვინის სასმისები და სხვა.

1888 წელს ივანე ანანოვი გარდაიცვალა. მის საქმეს მისი შვილიშვილები აბგარი და მიხრანი დაეპატრონენ. ამ უკანასკნელმა ვაზის ადგილობრივი ჯიშების გარდა გააშენა საფრანგეთიდან ჩამოტანილი ნამყენი პინო, ალიგოტე, სემილიონი, ფონბლაშე. საფრანგეთიდან ჩამოიტანა კონიაკის სახდელი აპარატი და დაამონტაჟა აფხანაურში, რომელსაც ჯერ ფრანგი სპეციალისტები, ხოლო1905 წლიდან ოფშკვითელი გიორგი კეპულაძე ხელმძღვანელობდა.

ვენახის ზვრების გაფართოებამ დღის წესრიგში დააყენა ღვინის ქარხნის აგება. მიხრან ანანოვმა ქუთაისში პრონც კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგსკის შამპანური-ღვინის ქარხნის მსგავსად ააგო ვარციხეში დღეს არსებული ღვინის ქარხანა და შემდგომ დიმის ღვინის ქარხანა.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

შუქრი ნაკაშიძე

ბაღდათის რამდენიმე სოფელში ხილ-ბოსტნეულის კვლევა ჩატარდა

ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათში, დიდველასა და წითელხევში აზიური ფაროსანასა და სხვა მავნე ორგანიზმებისაგან დაზიანებული ხილის კვლევა ჩატარდა. სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მობილური ლაბორატორიის მეშვეობით ადგილზე შეამოწმეს მოსახლეობის მიერ მიტანილი ნიმუშები. დაზიანება ხილს უმეტესად სოკოს, ნაცროვანი დაავადებებისა და ხილის მჭამელი მავნებლებისგან აქვს მიყენებული. კვლევის საფუძველზე მოსახლეობას შესაბამისი რეკომენდაციები მიეცა. შეხვედრებზე ასევე ისაუბრეს ფაროსანას წინააღმდეგ მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ და ადგილობრივებს მავნებლის საწინააღმდეგო მექანიკური მეთოდები გააცნეს. მოსახლეობისათვის მოქმედებს სატელეფონო გზავნილების სისტემა, რომლის მეშვეობითაც ფიტოსანიტარი სპეციალისტები დაინტერესებულ პირებს აწვდიან ინფორმაციას მცენარეთა დაავადებების შესახებ და უწევენ კონსულტაციას რა პრეპარატებით ებრძოლონ ამა თუ იმ დაავადებას. საინფორმაციო შეხვედრების მიზანია მცენარეთა მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო ფიტოსანიტარიული ზომების მიღება და სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაცვის სისტემის გაძლიერება.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით ფაროსანას წინააღმდეგ შეწამვლითი სამუშაოები მიმდინარეობს და ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება. ამ ეტაპისთვის ცივი შესხურების 6 ეტაპი დასრულდა, ორჯერ კი თერმული ნისლით შეიწამლა. როგორც ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილებაში გაგვიცხადეს, ფაროსანას რაოდენობა ჩვენს მუნიციპალიტეტში საკმაოდ შემცირებულია. მათი თქმით, აუცილებელია მოსახლეობამ თავისი ნაკვეთები შეწამლონ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს მოსავლის აღებამდე ორი-სამი კვირით ადრე (ეს დამოკიდებულია პრეპარატის შემადგენლობაზე). ასევე შესაძლებელია ფერომონების დაკიდება ვენახის გარეთ და ამ გზით ფაროსანას გამოყვანა ნაკვეთიდან.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილებას (მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული).

ანა ძორიძე

განათლება

ახალი სასწავლო წელი ბაღდათის მუნიციპალიტეტში

16 სექტემბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში სასწავლო წელი დაიწყო. მუნიციპალიტეტში 21 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, რომელშიც 2412 მოსწავლე სწავლობს. წელს 222 პირველკლასელია რეგისტრირებული, მათ სახელმძღვანელოები და ნეთბუქები გადაეცათ. სასწავლო წლის დაწყება მოსწავლეებს საბავშვო მუსიკალური კონცერტით მიულოცეს. ღონისძიება, ა.(ა).ი.პ ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებით, ბაღდათის რევაზ ლაღიძის სახელობის კულტურის

ცენტრის წინ მდებარე სკვერში გაიმართა. კონცერტის დასასრულს, მუნიციპალიტეტის მერიისა და ჭორლდ Vისიონ ჩეორგია-ს თანადგომით, ყველა პირველკლასელს სიმბოლური საჩუქარი გადაეცა. სასწავლო წლის დაწყება ბაღდათის ცენტრალურ ბიბლიოთეკაშიც აღნიშნეს და პატარებს შემეცნებით-გასართობი ხასიათის ღონისძიებები მოუწყვეს. პირველკლასელებმა საბავშვო ბიბლიოთეკაც დათვალიერეს და გაეცნენ, თუ რა დანიშნულება აქვს ბიბლიოთეკას და რა შესაძლებლობებს აძლევს მათ ეს სივრცე. ღონისძიების დასასრულს პატარებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ გოგსაძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ შალვა მშვილდაძემ მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

„განათლებული თაობა ყოველთვის იყო და რჩება ჩვენი ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად. მინდა ახალი სასწავლო წლის დაწყება მივულოცო პედაგოგებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. განსაკუთრებით კი პირველკლასელებს, რადგან დღეს მათ ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო“, – განაცხადა არჩილ გოგსაძემ.

„გილოცავთ სასწავლო წლის დაწყებას. განსაკუთრებით კი ვულოცავ პირველკლასელებს, რადგანაც თქვენ პირველად შედგით ფეხი ცოდნის ტაძარში. განსაკუთრებულია ეს დღე ასევე დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვისაც. წარმატებას გისურვებთ იმ გზაზე, რომელსაც სტუდენტობა ჰქვია. დღევანდელ დღეს ვულოცავ ყველა პედაგოგს. თქვენ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა გეკისრებათ მომავალი თაობების აღზრდაში. განათლება ყოველთვის იყო და იქნება ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი. გახსოვდეთ, რომ თითოეული თქვენგანის წარმატება ჩვენი მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის წარმატებაა,“ – განაცხადა შალვა მშვილდაძემ.

წარჩინებული მოსწავლეები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 2018-2019 სასწავლო წელს სკოლა ოქროს მედალზე 14-მა მოსწავლემ, ხოლო ვერცხლის მედალზე 6-მა მოსწავლემ დაამთავრა. საბაზო საფეხური კი წარჩინებით დაამთავრა 24-მა მოსწავლემ და ისინი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსგან საჩუქრად ნოუთბუქს მიიღებენ.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები საჯარო სკოლებში

2019-2020 სასწავლო წელს მოსწავლეებს სსიპ ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლაში ახალი გარემო დახვდათ. სკოლას ათასწლეულის „გამოწვევის ფონდ – საქართველოს“ ერთ-ერთ პროექტში გამარჯვების შედეგად სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა. ადგილობრივი თვითმმართველობის დაფინანსებით რამდენიმე სკოლაში მოწესრიგდა სველი წერტილები, გათბობის სისტემა და სახურავი. წელს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო სარემონტო სამუშაოების ჩატარებასა და გათბობის სისტემის უზრუნველყოფას გეგმავს მუნიციპალიტეტის 10 სკოლაში (სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერსათის №1 საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეეთის საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წყალთაშუას საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ როხის საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის №2 საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ დიმის საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე ობჩის საჯარო სკოლა, სსიპ გიორგი გეწაძის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ობჩის საჯარო სკოლა, სსიპ ტარიელ კვირიკაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის საჯარო სკოლა, სსიპ კოტე ფოცხვერაშვილის სახელობის ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელხევის საჯარო სკოლა).

ანა ძორიძე

ნიჭიერი თაობა

რუბრიკა „ნიჭიერი თაობა“ ისევ აგრძელებს თქვენთვის, ჩვენო მკითხველნო გამორჩეული ახალგაზრდების მოძიებას. ამჯერად ერთ არაჩვეულებრივ გოგონას, ქეთი ქავთარაძეს გაგაცნობთ.

ქეთიმ სწავლა 2003 წელს დიმის №1 საჯარო სკოლაში დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ მე-10 კლასიდან ქ. ქუთაისში წმ. ნინოს სახელობის №3 საჯარო სკოლაში გადავიდა, მისი ბავშვობის ძირითადი მოგონებები სწორედ დიმის სკოლასთან, მის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთანაა დაკავშირებული. სკოლის პერიოდში ზოგიერთი საგანი გამორჩეულად აინტერესებდა, რაც მომავალში სპეციალობის შერჩევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაშიც დაეხმარა.

2015 წელს გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობის სტუდენტი, სრული სახელმწიფო დაფინანსებით. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ფაკულტეტის სტუდენტთა ხუთეულში მოხვდა. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში არაერთხელ აქვს მიღებული სახელმწიფო სტიპენდია მაღალი აკადემიური მოსწრების გამო.

2017 წელს, კონკურსის საფუძველზე, მოიპოვა Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამის სტიპენდია პორტუგალიაში, ქალაქ პორტუში და, შესაბამისად, ერთი სემესტრის განმავლობაში, სწავლობდა პორტუს უნივერსიტეტში. მომდევნო წელს მეორედ მოიპოვა Erasmus+-ის გაცვლითი პროგრამის სტიპენდია, ამჯერად გერმანიაში, ქალაქ რემაგენში. აქ, ერთი სემესტრის განმავლობაში, კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში სწავლის შესაძლებლობა მიეცა. ამ პერიოდში წარმატებით გაიარა შერჩევა აკადემიური სტაჟირებისთვის, შედეგად, სემესტრის განმავლობაში, სწავლის პარალელურად, მუშაობდა უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში. თსუ-ში სწავლის დროს, უნივერსიტეტების ორმხრივი ხელშეკრულების ფარგლებში, მოიპოვა ინგლისურენოვანი სტუდენტებისთვის გაცვლითი პროგრამის სტიპენდია ლიტვაში, ვიტაუტას მაგნუსის უნივერსიტეტში, თუმცა ორი სტიპენდიის დროში დამთხვევის გამო ამ სტიპენდიაზე უარის თქმა მოუხდა.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა „სინერჯი კაპიტალში“, კერძო კაპიტალის ფონდში, თასქ მენეჯერის პოზიციაზე. მისი თქმით, კომპანიის რეპუტაციისა და კადრების შერჩევისადმი განსაკუთრებული მიდგომის გამო ამ კომპანიაში მოხვედრა მისთვის მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო. მუშაობისას კომპეტენციას იძენდა ორგანიზაციებისთვის მნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრაში, ორგანიზაციების სისტემური დიაგნოსტიკის, სტრატეგიული დაგეგმარების, დანიშნულებისა და ხედვის ჩამოყალიბების კუთხით, ასევე ორგანიზაციული სტრუქტურის განვითარების, შექმნისა და დანერგვის მიმართულებით, თანამშრომლების არამატერიალური მოტივაციის სისტემების დამუშავებისა და დანერგვის მიმართულებით, პარალელურად პასუხისმგებელია დონორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებზე.

ქეთი მუშაობასთან ერთად უნივერსიტეტში სწავლას აგრძელებს, ამჟამად ბაკალვრიატის საფეხურის მე-4 კურსის სტუდენტია და სწავლის გაგრძელებას გეგმავს.

აზა მაშანეიშვილი

მასწავლებელთა რეფორმა

განათლების კომპლექსური რეფორმის ფარგლებში, სკოლებში სწავლების ხარისხის გაზრდის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ზოგადი განათლების მიმართულებით ცვლილებების რამდენიმე ეტაპი დაიწყო. რეფორმის მიზანია სკოლებში ისეთი საგანმანათლებლო გარემოს ჩამოყალიბება, რომელიც მოსწავლეებს XXI საუკუნის გამოწვევების მისაღებად საჭირო ცოდნასა და უნარებს შესძენს. ამ მიზნის მისაღწევად კი აუცილებელია მაღალკვალიფიციური, მოტივირებული, თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ძლიერი მასწავლებლები, რომელთაც ღირსეული ანაზღაურება ექნება.

რეფორმის ფარგლებში, 2019 წლის სექტემბრიდან უფროსის, წამყვანის ან მენტორის სტატუსის მქონე ყველა მასწავლებელს ანაზღაურება გაეზრდება. ხელფასის ზრდა ყოველწლიურად გაგრძელდება და 2022 წლისთვის პედაგოგის საშუალო ანაზღაურება 1500 ლარს და მეტს გაუტოლდება. სახელფასო ზრდა ასევე შეეხება რესურსცენტრების, სკოლების დირექტორებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

– პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებიც 2019 წლის ზაფხულში დაადასტურებენ მინიმალურ კომპეტენციას და აიმაღლებენ სტატუსს, ასევე მიიღებენ გაზრდილ ანაზღაურებას ახალი სასწავლო წლის დადგომისას, 2019 წლის სექტემბრიდან.

– პრაქტიკოს მასწავლებლებს, რომლებსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღწევად მოთხოვნები ნაწილობრივ აქვთ შესრულებული, მიეცემათ შესაძლებლობა, აიმაღლონ სტატუსი დამატებითი კრედიტქულების მოპოვებით 2019 წლის ბოლომდე. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ გაზრდილ და მზარდ ანაზღაურებას.

საპენსიო ასაკის ღვაწლმოსილ პედაგოგებს, რომელთაც არ ექნებათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურებისა და სტატუსის ამაღლების სურვილი, ეძლევათ პრივილეგია, მათი ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე, 2019 წელს სახელმწიფოსგან მიიღონ ერთჯერადი ფულადი ჯილდო – ორი წლის ჯამური ხელფასი. ამასთან, შეუნარჩუნდებათ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში (საჯარო სკოლების მასწავლებელთა ჯანმრთელობის სადაზღვევო ვაუჩერის პირობების შენარჩუნებით).

საპენსიო ასაკის პრაქტიკოს მასწავლებელს სახელწიფოს მიერ შეთავაზებული ჯილდოს მიღების სურვილის გამოხატვის შესაძლებლობა 2019 წლის განმავლობაში რამდენიმე შემთხვევაში ექნება:

– თუ მასწავლებელს არ აქვს მინიმალური კომპეტენციის დადასტურების სურვილი, ამის შესახებ უნდა განაცხადოს 2019 წლის მაისის ბოლომდე;

– თუ მასწავლებელი ვერ დააკმაყოფილებს მინიმალურ კომპეტენციას, ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ უნდა გვაცნობოს 2019 წლის ბოლომდე;

– თუ მასწავლებელს არ აქვს სურვილი ან ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას განმეორებითი მცდელობისას, ან თუ მასწავლებელს აქვს მინიმალური კომპეტენცია დადასტურებული, მაგრამ არ სურს, რომ აიმაღლოს სტატუსი – ჯილდოს მიღების სურვილის შესახებ 2019 წლის ბოლომდე უნდა განაცხადოს.

სახელმწიფო ჯილდოს გაცემა დაიწყება არაუგვიანეს 2019 წლის სექტემბრისა. ყველა ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2019 წლის ბოლომდე ვერც ერთი შესაძლებლობის ფარგლებში ვერ დაადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას და ვერ აიმაღლებს სტატუსს, შეძლებს პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე – დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხელფასის შენარჩუნებით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში 80-მა საპენსიო ასაკის ღვაწლმოსილმა პედაგოგმა გაიკეთა განაცხადი სახელწიფოს მიერ შეთავაზებულ ჯილდოზე.

ზანდა იოსელიანის საღამო

ბაღდათის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს ინიციატივით, ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ლიტერატურულ დარბაზში მსახიობ ზანდა იოსელიანის საღამო გაიმართა. მსახიობი წარმოშობით ბაღდათელია და მუნიციპალიტეტში მისი სამსახიობო მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ღონისძიება პირველად გაიმართა.

ზანდა იოსელიანი დაიბადა 1937 წლის 18 აგვისტოს. მაიაკოვსკის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1955 წელს, სწავლა განაგრძო შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1959 წელს. იმავე წელს მუშაობა დაიწყო მარჯანიშვილის თეატრში. ის გახლავთ საქართველოს დამსახურებული არტისტი (1979 წ). თამაშობდა ფილმებში: უდიპლომო სასიძო, ომი და ქორწილი, ვერის უბნის მელოდიები, ანარეკლი, ადამიანთა სევდა და სხვა.

ღონისძიებაზე ისაუბრეს ზანდა იოსელიანის კინოსა და თეატრში მოღვაწეობის შესახებ. მსახიობმა გაიხსენა ბაღდათთან დაკავშირებული წლები და მაიაკოვსკის ლექსებიც წაუკითხა დამსწრე საზოგადოებას. საღამო ემოციურად დატვირთული იყო. წლების შემდეგ ზანდა იოსელიანი კლასელებს, ბავშვობის მეგობრებსა და იმ ადამიანებს შეხვდა, რომლებთანაც სოფელ ფერსათში უამრავი ბედნიერი დღე გაუტარებია. ღონისძიებაზე ზანდა იოსელიანის ოჯახის წევრები, მეგობრები და კოლეგები იმყოფებოდნენ.

ანა ძორიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტი რეგიონალური ტურნირის გამარჯვებულია

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის ინიციატივითა და მუნიციპალიტეტების მხარდაჭერით გაიმართა რეგიონალური ტურნირი მინი ფეხბურთში, რომელშიც 12-ვე მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები იყვნენ ჩართულები. ფინალში ბაღდათის მუნიციპალიტეტმა სამტრედიის გუნდი დაძაბულ ბრძოლაში 2:0 დაამარცხა და რეგიონის მასშტაბით პირველობა მოიპოვა.

გამარჯვებულ გუნდს თასი იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ გადასცა. ფინალურ თამაშს რწმუნებულის მოადგილეები: იოსებ ხახალეიშვილი, ბესიკ გოფოძე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი კახა ჭუმბურიძე და მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

აღნიშნული ტურნირის ჩატარების ინიციატივა იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას ეკუთვნის და მიზნად ისახავს ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციას. ინიციატივა ტრადიციად იქცევა და მომავალ წელსაც აიღებს სტარტს.

დავით ყიფიანი

2019-2020 სასწავლო წლებში ა.(ა).ი.პ ბაღდათის სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრი იწყებს მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპორტულ სექტორებში: თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კუნგ-ფუ-სანდა, კრივი, რაგბი, კალათბურთი, ფეხბურთი, ჭადრაკი. ცენტრს ჰყავს კვალიფიციური პედაგოგები, რომელთა მოსწავლეებს აქვთ უნიკალური შედეგები და წარმატებულად ასპარეზობენ როგორც საქართველოს ჩემპიონატებზე, ისე საზღვარგარეთ.

დაინტერესებულმა პირებმა შეგიძიათ მიმართოთ მწვრთნელ სელექციონერებს:
ავთანდილ ბურჯანაძე -----ტელ: 598 350 354
ვახტანგ ფერაძე ----------ტელ: 595 424 774
ან მიბრძანდეთ მისამართზე: ბაღდათი ნინოშვილის №6

ბაღდათის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრში სიახლეა!
1 ოქტომბრიდან გიწვევთ სამეჯლისო და სპორტული ცეკვების შესასწავლად 5-წლიდან ასაკის შეუზღუდავად!
პედაგოგი გიორგი ბუხაიძე.
მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 571 21 96 71, 551 20 17 20

25 სექტემბრიდან საბავშვო მუსიკალური თეატრი „ირიდა“ აცხადებს მოსწავლეთა მიღებას!
დინამიური მეცადინეობა მშვიდ და მეგობრულ გარემოში დაეხმარება თქვენს შვილებს განავითარონ სამსახიობო ტალანტი, მუსიკალური გემოვნება, ვოკალური უნარ-ჩვევები. დაეუფლონ კლასიკურ, ხალხურ და თანამედროვე ცეკვებს.
„ირიდა“ ასევე გთავაზობთ სიახლეს და ეს გახლავთ ქართული ფოლკლორულ -მოდერნიზებული ცეკვის სტუდია.
მოსწავლეები მიიღებიან 6 წლის ასაკიდან.
გვეწვიეთ ბაღდათის რ. ლაღიძის სახელობის კულტურის ცენტრში!
მსურველებმა დარეკეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 599 90 84 19, 579 27 94 07

„ჩემი გაზეთი“ შენია

ჩვენს განახლებულ რუბრიკაში, ამჯერად ადგილს ვუთმობთ დიმის პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეს, ელენე ჩიქვინიძეს, რომელიც „პროზა-პოეზიას“ შეჭიდებია და „ჩემი გაზეთის“ ამ ნომერში, სწორედ, მის პირველ შემოქმედებით ნაბიჯებს გაგაცნობთ.

მავთულხლართები – მარწუხები, რომლის ტარებაც გაჭირდა

„მავთულხლართები“ – სიტყვა, რომლის გაგონებაც ჩემში ბევრ გრძნობას იწვევს: შიშს, სიძულვილს, ტკივილს. როდესაც თბილისის გზას მივუყვებით მანქანით და გორში შევდივართ, ერთადერთი, რასაც ვცდილობ თვალი ავარიდო, მავთულხლართებია. ეს უმძიმესი სატარებელი მარწუხებია, რომლებიც დიდი ხნის წინ გაგვიკეთეს. ყოველჯერზე მათი დანახვისას ჭრილობები გვინახლდება. პირადად მე ტკივილი გულს კი არ მიკლავს, არამედ მანადგურებს. ეს ისეთი ტკივილია, რომლის წარმოთქმაც არ ძალუძს ენას, რომლის დაწერაც არ შეუძლია კალამს და რომლის აღქმასაც ვერ ახერხებს ადამიანი. ყოველჯერზე მათი დანახვისას ათასად დამსხვრეული გული ათიათასად იმსხვრევა. მაგრამ მწამს, რომ ეს მავთულხლართებიც ოდესმე დაიმსხვრევა, განადგურდება, გაქრება, რომ მას წასულიც ვეღარ აღადგენს და მწამს, რომ ეს დღე არც ისე შორსაა. სულ მალე აფხაზეთში კვლავ ღირსეულად დავბრუნდებით. აფხაზეთი ჩვენი უდიდესი ტკივილია და სრული ბედნიერება მაშინ გვექნება, როდესაც აფხაზეთი კვლავ ჩვენი იქნება და, ბოლოს, აფხაზეთი საქართველოა!!!

„გამეხსნა წარსული ჭრილობის ცივი იარა,
თითქოს ჩემს გულში ამ ყველაფერმა კვლავ გაიარა.“

ელენე ჩიქვინიძე

აფხაზეთი ჩვენია

ო, აფხაზეთო, ტკივილო ჩემო,
დიდი სიცოცხლის პატარა მძივო,
ტირილი ამ დარდს ვეღარ აქარვებს,
არც ამსუბუქებს როგორც
ნაზ ბუმბულს.
ვტირი და ვნაღვლობ, რომ
ასე შორს ხარ,
თან რომ აქა ხარ, აქ ასე ახლოს,
გავიდა წლები და ისევ შორს ხარ,
მაგრამ იმედით განმსჭვალულები
ისევ ვოცნებობთ, შენს ახალ ბედზე,
რომ კვლავ,
ოდესმე დაგვიბრუნდები.

ელენე ჩიქვინიძე

თვიდან თვემდე

* * *

20 სექტემბერს ბაღდათის მუნიციპალიტეტი დასუფთავების საერთაშორისო დღეს შეუერთდა, რომლის ფარგლებში ვლადიმერ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს. აქციაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე შალვა მშვილდაძე, მერიის, საკრებულოსა და ა.(ა).ი.პ-ების თანამშრომლები მონაწილეობდნენ.

დასუფთავების ყოველწლიური საერთაშორისო კამპანია – „დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World), რომელიც 1992 წელს დაფუძნდა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით, სექტემბერში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტარდება. მისი მიზანია ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესება. კამპანიამ მთელი რიგი ქვეყნების ხელისუფლებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მოქალაქეები გააერთიანა ფართომასშტაბიანი დასუფთავების აქციების ჩასატარებლად. კამპანიაში 135-მდე ქვეყანა მონაწილეობს.

საქართველო დასუფთავების მსოფლიო კამპანიებში 2010 წლიდან იღებს მონაწილეობას და წელს, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში ერთვება. საქართველო რიგით 121-ე ქვეყანაა, რომელიც დატანილია მსოფლიო გარემოსდაცვით რუკაზე.

* * *

ბაღდათის მუნიციპალიტეტში 27 სექტემბერს – სოხუმის დაცემის დღეს დაღუპული გმირები გაიხსენეს. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა მოძღვრებთან და მრევლთან ერთად მერიის ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს ომში დაღუპულ გმირებს. მათი ოჯახის წევრებს მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა ერთჯერადად ფულადი საჩუქარი გადასცა.

1993 წლის 27 სექტემბერი – საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველზე ტრაგიკული დღეა. საომარი დაპირისპირება აფხაზეთში 1992 წლის 14 აგვისტოს დაიწყო და წელიწადი, ორი თვე და 13 დღე გრძელდებოდა. დაპირისპირება 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით და საქართველოს შეიარაღებული ძალების დამარცხებით დასრულდა. აფხაზეთის ომმა მრავალი ადამინის სიცოცხლე შეიწირა, ბევრი მათგანი უგზოუკვლოდაა დაკარგული, ხოლო ცოცხლად დარჩენილთა უმრავლესობა იძულებული გახდა საკუთარი საცხოვრებელი დაეტოვებინა.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ა.(ა.)ი.პ. ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი
საქართველო, ბაღდათი, ჯახიანის ქ. №3
ტელ: 595 538 536; 591 00 76 54
ელ ფოსტა: chemigazeti@gmail.com

რედაქტორი ანა ძორიძე
ტექნიკური რედაქტორი დავით ყიფიანი
„ჩემი გაზეთის“ გუნდი:
მარიამ ოქროჭელიძე, ანჟელინა ჭავჭანიძე,
აზა მაშანეიშვილი, ნინო სახამბერიძე,
ფოტო: ანა ფხალაძე

გაზეთი დაჯაბადონდა
ი/მ მამუკა ჭოლაძის მიერ
დაიბეჭდა
შ.პ.ს. „ქოლორში“